პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელი ჯარი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის
1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ.
6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა:
1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ.
6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფ სი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

128 (1123) | ოთხშაბათი, 23 ივნისი 1926 წ. | 128 (1123)

## აუცილებელი განმარტება ახალწვეულ ცვალებადელს!

ზოგიერთი ცვალებადელები გაკვირვებას გამოსთქვამენ თუ რატომ გამოიწვიეს ისინი ზაფხულში. ისინი ამბობენ: ტერ-ნაწილები ხომ იმისთვის არსებობენ, რომ არ მოწყდეს მუშაობას მშრომელი ახალგაზრდობა.

ნამდვილად კი სხვა გამოდის —„გვიწვევენ ზაფხულში, როცა გამალებული მუშაობის დრო არისო“.

მართალი არიან ეს ამხანაგები? სრულიადაც არა. თუ ღრმად ჩაუკვირდებით საქმეს და გავითვალისწინებთ ჩვენი სამხედრო აღმშენებლობის პირობებს დავინახავთ, რომ ყველაზე უფრო ხელსაყრელია ახალწვეულ ცვალებადელების გაწვევა ზაფხულში.

და აი რატომ.

ზამთარში რომ გამოვიწვიოთ ისინი, სად უნდა მოვათავსოდ? ყაზარმების რიცხვი ძლიერ მცირეა. შემდეგ—ზამთარი ისეთი დროა, რომ სამხედრო სწავლების ფართედ წარმოება ძნელი ხდება. საჭიროა თბილი ტანსაცმელი, რაც ზედმეტი ხარჯია სახელმწიფოსთვის, ე. ი. მშრომელი ხალხისთვის. ასეთივე მდგომარეობაა თითქმის გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

გარდა ამისა შემოდგომაზე, როცა ცოტათი შენელდება მუშაობა, ტერიტორიალური ნაწილები გადიან საერთო შეკრებაზე. ცვალებადელებმა, რომლებმაც გაიარეს წინასწარი მომზადება კიდევ უფრო უნდა დახელოვნდნენ სამხედრო საქმეში. დაბოლოს ზაფხულის ტერშეკრება არც ისე დიდი ხნით ხდება. თვით გაწვეულთა რიცხვიც არ არის მაინდამაინც დიდი. ასე რომ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თითქოს ზაფხულზე ახალწვეულ—ცვალებადელების გაწვევა ოდნავ ხელს შეუშლიდეს ყანების დამუშავებასა და საერთოდ სოფლის საზაფხულო მუშაობას.

ყოველი ცვალებადელი, თუ კი ის კარგად ჩაუკვირდება ამ გარემოებას, სავსებით შეიგნებს ზაფხულის გაწვევის მიზანშეწონილობას და კიდეც დაინახავს, რომ სწორედ ზაფხული არის ყველაზე უფრო მისთვის ხელსაყრელი დრო სამხედრო სწავლებისათვის.

და თუ ეს ასეა, ყოველი ცვალებადელის მოვალეობას შეადგენს გაათკეცებული ენერგიით განაგრძოს სამხედრო სწავლება და დარჩენილი დრო რაც შეიძლება მეტის ნაყოფიერობით გამოიყენოს სამხედრო ცოდნისა და კარგი საბრძოლო მომზადების შესაძენად.

## გერმანიის ყოფილი მონარქების ქონების კონფისკაციისათვის წარმოებული კამპანიის შედეგები

### ოსმალეთში აღმოაჩინეს შეთქმულება, რომელსაც განზრახული ჰქონდა ქემალ-ფაშის მოკვლა.

საფრანგეთის მთავრობის შედგენა ისევ ბრიანს მიენდო.

პოლონეთში ძლიერდება მუშათა გაფიცვები.

### გერმანიის მონარქიული რეაქცია ზეიმობს.

ყოფილ მონარქების ქონების ასანაზღაურებლად მომხდარი რეფერენდუმი (საყოველთაო კენჭის ყრა) გერმანიაში დამთავრდა ყოფილი მონარქების სასარგებლოდ.

ქონების სახელმწიფოს მიერ ანაზღაურების წინააღმდეგ ხმა მისცა 15 მილიონ ამომრჩეველმა. ანაზღაურებას კი—583.000 კაცმა. დანარჩენმა თავი შეიკავა.

კონსტიტუციის ძალით ხმა უნდა მიეცა ანაზღაურების წინააღმდეგ 19.800.000 ამომრჩეველს, მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებდა კომპარტიის მიერ დაწყებული კამპანია.

ამნაირად გერმანიის ბურჟუაზიამ მხარი დაუჭირა ყოფილ მონარქებს. გერმანიის რეაქციონური წრეები ზეიმობენ ამ გამარჯვებას.

### ჩერჩილი „ნერვიულობს“

ინგლისის ფინანსთა მინისტრ—ჩერჩილმა განაცხადა ერთ თავის სიტყვაში, რომ სამთამადნო მუშების გაფიცვა მალე გათავდებოდა, რომ რუსეთი არ გვიშლიდეს ამაში ხელსო. ჩერჩილს იმედი აქვს, რომ ის მოესწრება, როდესაც რუსეთში იქნება უფრო ცივილიზაციური მთავრობა, და ან ჩვენ თავს დავანებებთ ისეთ ხალხთან ურთიერთობის დამყარებას, რომელსაც სურს ჩვენი დამხობაო. თუმცა ჩვენ გადავსწყვიტეთო—დასძინა ბოლოს მინისტრმა—რომ ჯერ-ჯერობით არ იქნეს შეწყვეტილი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაო.

### მაკდონალდიც კი აღშფოთდა

ერთ თავის სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა უკანასკნელად მაკდონალდმა ლონდონში ბრალი დასდო მთავრობას საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გართულებაში და ის დაახასიათა მან, „ინგლისის მთავრობის როგორც უტიფარი გამოსვლა ორ სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობის შეწყვეტის მოსახდენად“.

### კონსერვატორების მოთხოვნილება

17 ივნისს კონსერვატორების 11 დეპუტატმა შეიტანეს თემთა პალატაში რეზოლიუცია, რომლითაც ისინი მოითხოვენ რომ საბჭოთა კავშირთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება გააუქმოს მისი უდიდესებულების—ინგლისის მთავრობამ.

### შეთქმულების აღმოჩენა ოსმალეთში

ქალაქ სმირნაში ოსმალეთის პოლიციამ აღმოაჩინა შეთქმულება, რომელსაც განზრახული ჰქონდა რესპუბლიკის პრეზიდენტის—ქემალ-ფაშის მოკვლა. როგორც იტყობინებიან შეთქმულებაში მონაწილეობა მიუღიათ ზოგიერთ ოპოზიციის დეპუტატებს.

შეთქმულებაში მონაწილეობას ღებულობდენ ყოფილი სულთანის სამხედრო მინისტრი ჯემალ-ფაშა, განათლების მინისტრი შუკრიბეი, რომლებიც დატუსაღებული იქნენ.

### პოლონეთში ძლიერდება მუშათა გაფიცვები.

პოლონეთის მთელ რიგ ქალაქებში თანდათან იფიცებიან მთელ რიგ წარმოებების მუშა-მოსამსახურეები.

ქ. გრუზდენზეში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება გაფიცულ ტრამვაის მუშებსა და პოლიციელებს შორის. დაიჭრა 10 მეტი მუშა.

დაიწყო აგრეთვე ქ. ქ. ტორნის, გრუზდენზესი და ვიგდის კომუნალურ მუშათა გაფიცვები.

ძლიერ მწვავდება აგრეთვე მდგომარეობა საქსოვ მრეწველობაში. პროფკავშირების წარმომადგენლებმა განუცხადეს შრომის სამინისტროს საქსოვ მრეწველობის მუშათა მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გამოცხადებული იქნება გაფიცვა.

პრემიერ ბარტელმა „დროს უქონლობის“ მიზეზით არ მიიღო პროფკავშირთა დელეგაცია.

### ისევ ბრიანი

საფრანგეთის პრეზიდენტმა ისევ ბრიანს მიანდო მთავრობის შედგენა, რომელსაც 22 ივნისს ექნებოდა თათბირი პუანკარესთან. პუანკარე დაიჭერს ბრიანის კაბინეტში ფინანსთა მინისტრის პოსტს.

21 ივნისს ბრიანს მოლაპარაკება ჰქონდა ფინანსიურ და პოლიტიკურ მოღვაწეებთან. ის ფიქრობს, რომ შეადგენს კაბინეტს 22 საღამოსათვის.

## კიდევ ერთი გაკვეთილი გერმანიის პროლეტარიატისათვის.

20 ივნისს გერმანიაში მოხდა საყოველთაო კენჭის ყრა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა აენაზღაუროს თუ არა ყოფილ მეფის გვარეულობას ჩამორთმეული ქონება. როგორც ვიცით გერმანიის ბურჟუაზიული მთავრობა, მათ რიცხვში გერმანელი მენშევიკებიც მზად იყვნენ გადაეხადათ ყოფილი მეფის გვარეულობისათვის ჩამორთმეული ქონების საფასური. მაგრამ აქ ხმა აღიმაღლა გერმანიის კომუნისტურ პარტიამ. მან მოუწოდა მუშათა კლასს:

„არც ერთი კაპეიკი თავადებს—ხალხის მოსისხლე მტრებსა და წურბლებს“.

კომპარტიის მიმართვას ფართოდ გამოეხმაურა მუშათა კლასი და წვრილი ბურჟუაზიაც. ეს გამოხმაურება იმდენათ მძლავრი გამოდგა, რომ მენშევიკები იძულებული გახდენ მიმხრობოდენ კომპარტიის ლოზუნგს, ხოლო გერმანიის მთავრობა დათანხმდა საყოველთაო ხმის მიცემით გადაჭრილი იყო ეს საკითხი. მაგრამ როგორც ბურჟუაზიული მთავრობა, ისე მონარქისტები, ნაციონალისტები და ყველა ბურჟუაზიული პარტიები სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ ამ საყოველთაო კენჭის ყრისა და ყოველმხრივ სცდილობდენ მის ჩაშლას.

ამავე მიზნით მთავრობამ დაადგინა, რომ საყოველთაო კენჭის ყრას მაშინ ექნება ძალა, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს 20 მილიონი ამრჩეველი.

რატომ ებრძოდა საყოველთაო კენჭის ყრას ბურჟუაზია? იმიტომ, რომ მეფის გვარეულობისათვის აუნაზღაურებლად ქონების ჩამორთმევას არა სასურველი შედეგი მოყვებოდა. ჯერი მასზე მიდგებოდა. აი რისი ეშინოდა მას. ამიტომ იყო ის ყოველმხრივ მოწადინებული, რომ საყოველთაო ხმის მიცემა უნაყოფოდ დასრულებულიყო მუშათა კლასისათვის. და ბურჟუაზიამ როდესაც მიაღწია მიზანს, მიუხედავათ იმისა, რომ 15 მილიონი ხმა აღიმაღლა მეფის გვარეულობისათვის უფასოთ ჩამოერთმიათ ქონება, ბურჟუაზიულ მთავრობამ მაინც არ სცნო კანონიერად ხალხის მოთხოვნა, ვინაიდან არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიეღო 20 მილიონ ამრჩევლებს.

ამრიგად საყოველთაო კენჭის ყრა დამარცხდა და ბურჟუაზია ზეიმობს გამარჯვებას. გერმანიის ხალხმა თავის მოსისხლე მტერს—ვილჰელმს და მის გვარს უნდა გადაუხადოს 3 მილიარდი ოქროს მარკა.

და ყოველივე ეს ბურჟუაზიის წყალობით. მაგრამ ამ კენჭის ყრას სრულიად უნაყოფოდ არ ჩაუვლია გერმანიის პროლეტარიატისათვის. მან კიდევ ერთი დიდი გაკვეთილი მისცა გერმანიის მუშათა კლასს. დაანახა მას, რომ სანამ ქვეყნის სათავეში სდგას ბურჟუაზია, არავითარ საყოველთაო კენჭის ყრას ფასი არ აქვს, ვინაიდან გამარჯვებული მაინც მყვლეფელთა კლასი გამოვა. მიუხედავათ იმისა, რომ ხმის აბსოლიუტური უმრავლესობით გადაწყდა აუნაზღაურებლად ჩამოერთმიათ ყოფილ მეფის გვარეულობისათვის ქონება, ბურჟუაზიამ მაინც თავისი გაიტანა, რადგან ძალა მის ხელშია. როცა ბურჟუაზია პრეზიდენტად ირჩევდა ჰინდენბურგს, მაშინ საკმარისი იყო 13 მილიონი ხმა, ხოლო როცა მეფის გვარეულობის ქონების საკითხი იჭრებოდა 15 მილიონი ხმაც არ ყოფილა საკმაო. აი როგორ სჯის ბურჟუაზიული სამართლიანობა.

საყოველთაო კენჭის ყრის დამარცხებამ კიდევ ერთხელ დაუმტკიცა გერმანელ მუშებს, რომ მხოლოდ შეურიგებელი რევოლიუციონური ბრძოლა კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ მისცემს მას საბოლოო გამარჯვებას ბურჟუაზიაზე.

—ე.

## საქართველოში.

### ცხენებით გადარბენა როსტოვი—ტფილისი.

კვირა ღამეს ქართ. სამხედრო გზით ტფილისში ჩამოვიდენ გადარბენაში მონაწილე პირველი შვიდი ცხენოსანი. დანარჩენები კი მოვიდენ დილით. გზაში დარჩა ორი ცხენოსანი—ერთი სტავროპოლში და ერთიც სად. ...ამში.

ორშაბათს ტფილისის იპოდრომზე გადარბენაში მონაწილეებს მიესალმენ ამხ. ამხ. ს. ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, ზალუცკი, კუზნეცოვი, მელნიკოვი და სხვები, რომელსაც საპასუხო სიტყვით მიმართა გადარბენის ხელმძღვანელ ტულენევმა და დაახასიათა თუ რა მნიშვნელობა აქვს მას წითელი კავალერიისათვის.

გადარბენის ხელმძღვანელისავე განცხადებით გამოირკვა, რომ კავალერიას შეუძლია უდიდესი დატვირთით მოახდინოს 900 კილომეტრი მანძილის გადარბენა.

გადარბენაში მონაწილენი გადიოდენ დღეში 105 კილომეტრს. თითეული საათის განმავლობაში რბენის შემდეგ მხედრები 10 წუთის განმავლობაში მოდიოდენ ქვეითად.

დღე-ღამეში ისვენებდენ 2—4 საათს.

ამიერ-კავკასიის მთავრობის დადგენილებით გადარბენის თითეულ მონაწილეს გადაეცა საჩუქრის სახით 100 მანეთი.

# ᲠᲐ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

## ᲓᲐᲒᲕᲘᲐᲠᲡᲔᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲣᲗᲮᲔ

სოფ. ღებში (რაჭის მაზრა) მოვიდენ მოკლევადიან შვებულებით მე-6 ლეგიონიდან, ადგილობრივი მცხოვრებნი უმცროს მეთაურები ამხ. ამხ. ლობჟანიძე და გავაშელი, რომლებმაც თან მოიტანეს სოფელში სამხედრო კუთხის მოსაწყობათ შესაფერი მასალები.

სამხედრო კუთხე მოგვიწყვეს სამკითხველოში, რამაც დიდი დაინტერესება გამოიწვია მცხოვრებლებში, განსაკუთრებით კი დიდათ გაახარა ამ გარემოებამ სოფლის ახალგაზრდობა.

მეთაურებმა მოიწვიეს კრება და ვრცელი ახსნა-განმარტება გაუკეთეს ხალხს თუ რა არის სამხედრო კუთხე, რა მიზნებს ემსახურება ის და როგორი სარგებლობის მოტანა შეუძლია მას გასამხედროების საქმისთვის.

ნაწილში დაბრუნებამდე ამხანაგები სისტემატიურად ატარებდენ საუბრებს კუთხეში, შემდეგ კი დაავალეს ერთ მცოდნე ამხანაგს საუბრების ჩატარება და თან შეგვპირდენ, რომ ყოველმხრივ გაუწევდენ კუთხეს დახმარებას.

მეცადინეობაში ჩაბმული არიან ადგილობრივი კომკავშირელები და უპარტიო ახალგაზრდობა, რომლებიც გულმხურვალედ კითხულობენ სამხედრო ხასიათის ლიტერატურას.

კომკავშირელი.

## ᲡᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲬᲠᲔ

მე-4 ლეგიონი ენერგიულად ეწევა მოსახლეობის გასამხედროების საქმეს. ქ. გორში აღსანიშნავია ლეგიონის მიერ მოწყობილი სამხედრო კუთხის და სამხედრო წრის მუშაობა, რომლებიც არსებობენ ადგილობრივ სამრეწველო ეკონომიურ ტეხნიკუმში.

პირველად წრის წევრების მიზიდვა ხდებოდა კომკავშირის უჯრედის საშვალებით, მხოლოდ შემდეგ, როდესაც ისინი წრეში ჩატარებულ ბაასებმა სრულიად დააკმაყოფილა, წრეში დაიწყო ახალი წევრების დენა და დასწრების პროცენტების გადიდება. უკანასკნელ ხანებში წრეში დასწრება უდრიდა 98 პროცენტს. წრის წევრების რაოდენობა კი 49 კაცს. მათ შორის არიან ქალებიც.

მეცადინეობა სწარმოებს: თეორიული—შაბათობით, პრაქტიკული (წყობილება)—კვირაობით. ბაასები ჩატარებული იქნა სამხედრო ქიმიაში, ავიაციის ისტორიაში, საინჟინერო საქმეში, მედიცინა და სამხედრო საქმეში, ტაქტიკაში და პოლიტიკურ საკითხებში.

პრაქტიკულ მეცადინეობაში—შეისწავლეს წყობილება და გაეცვნენ მხრჩოლავი აირების საწინააღმდეგო ნიღბების ხმარებას.

სასწავლებლის დათხოვნა ამ დღეებში, ალბად ხელს შეუშლის წრის ძომავალ მუშაობას, მაგრამ სხვებთან შეერთებით ვიმედოვნებთ, დაწყებული საქმე არ ჩაიფუშება და მეტის ნაყოფიერებით წარიმართება წინ.

მენალარიშვილი.



გორის სამრეწველო ტეხნიკუმის სამხედრო წრე.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

## ᲞᲐᲠᲢ-ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ.

1-ლ დივ. საარტილერიო ლეგიონი.

ჯერ კიდევ ბანაკად გასვლამდი პარტ-სკოლების ხელმძღვანელებთან და ახ. კომკავშირის სკოლის ხელმძღვანელებთან ერთად მოწვეულ იქნა დივიზიის მიერ გამოგზავნილ ინსტრუქტორისაგან თათბირი. თათბირმა გარკვეული პასუხი გასცა ყველა იმ საკითხებს, რომლებიც წამოყენებული იყო ნაწილებში სკოლების ხელმძღვანელების მიერ. თათბირმა უმთავრესად გაარჩია მეთოდიური საკითხები, რაც შემდეგ საფუძვლად დაედო მომავალ მუშაობას.

ბანაკში გასვლის შემდეგ მეცადინეობა სისტემატიურ ხასიათს ღებულობს, დასწრება სრულიად დამაკმაყოფილებელია, ვინაიდგან არც ერთი წევრი უმიზეზოთ არ აკლდება სკოლის მეცადინეობას. მეცადინეობა ხდება კვირაში ერთხელ ძლიერ ხელსაყრელ შერჩეულ საათებში მსმენელებისათვის.

დგება ხელმძღვანელების მიერ წინასწარ კონსპექტი კითხვა-პასუხის მეთოდზე. ხელმძღვანელები უდიდეს ყურადღებას აქცევენ მსმენელების გააქტივების საქმეს.

ეძლევა წინასწარ ახალ ჩასატარებელ თემის ირგვლივ ძირითადი კითხვები; პასუხის გაცემისათვის მითითებულია შესაფერი ლიტერატურა. სკოლის მეცადინეობას ხელს უშლის მხოლოდ რვეულების უქონლობა. საზამთრო პერიოდში სწერდენ თავის აზრებს მსმენელები, ამ ჟამად რვეულების უქონლობის გამო ეს ჯერ-ჯერობით მოუხერხებელი ხდება. ბ.-კოლექტივმა სკოლის ხელმძღვანელების თათბირზე აღნიშნა საერთო ნაკლი სკოლის და დასძინა რვეულების ახლო ხანში შეძენა რაც უფრო გაადიდებს შეთვისების საქმეს.

ტ. მამალაძე.

## ᲙᲝᲛᲣᲯᲠᲔᲓᲗᲐ ᲛᲓᲘᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ.

მე-5 ლეგიონი.

ერთი კვირაა, რაც ჩვენ ლეგიონში დაარსდა უჯრედის მდივნების მოსამზადებელი სემინარი. მეცადინეობა სწარმოებს ყოველდღიურათ საღამოს 7 საათიდან 9 საათამდე.

მუშაობა ნაყოფიერია; დამსწრეები, სემინარის მსმენელები დიდის ინტერესით ეკიდებიან და გულდასმით უსმენენ ლექტორებს მეცადინეობის დროს. მრავალი შეკითხვებია თემის ირგვლივ. ხშირად აგრეთვე იმართება კამათი, სადაც ამხანაგების უმრავლესობა იღებენ მონაწილეობას. ამიტომ ზოგჯერ მეცადინეობა ათ საათამდე გრძელდება.

ამის მიზეზი არის ამხანაგების აქტივობა და საკითხით დაინტერესება მეცადინეობის დროს.

ოგანოვი.

## ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

1 ლი არტლეგ. ახკომკავშირის 4 უჯრედი.

დღემდე არ ქონდა ჩვენს უჯრედის ბიუროს საშუალება, რომ მოეხდინა კრებები, და დაეწყო ორგანიზაციული მუშაობა. ამას ხელს უშლიდა ის რომ ყველაფრით არ ვიყავით მოწყობილი. ბიურომ მიიღო სკოლის ბიურო კოლექტივიდან სალაგირო პერიოდის მუშაობის გეგმა, რომელიც განხილული იქნა, როგორც ბიუროსაგან, ისე უჯრედის მიერ. ბიურო უკვე შეუდგა მოვალეობის განაწილებას და გამოიყო აქტიური ამხანახები სხვადასხვა სამხედრო ნაწილებთან კავშირის დასაჭერად. მალე ჩვეულებრივი ცოცხალი ტემპით დაიწყება ჩვენი საქმიანობა.

ტივერი.

# ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲑᲐᲜᲐᲙᲨᲘ.

## ᲜᲣ ᲓᲐᲰᲙᲐᲠᲑᲐᲕ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ.

ცხენოსან ნაწილების გამოყენება მომავალ ომებში მრავალგვარად იქნება შესაძლებელი.

ცხენოსან რაზმს დაევალება სამძიებლო სამსახური, თავდაცვის საქმე, უნდა აწარმოოს ზურგში მიმოსვლა და ამასთანავე ერთად უშვალოდ მიიღებს მონაწილეობას ბრძოლაში.

მომავალ ომების დროს ცხენოსან რაზმს ალბად მოუხდება მოქმედება ქვეითი მწყობრით.

ყველა ეს ამოცანები, რომ წარმატებით შეასრულოს ცხენოსან ნაწილმა, საჭიროა ის შესაფერად იყოს გაწვრთნილი იმისთვის, რომ წარმატებით შესძლოს ბრძოლაში ქვეითი მწყობრით მოქმედება.

დასასრულ ერთი პირობა კიდევ უნდა ახლდეს თან ცხენოსანი ნაწილის საბრძოლო მუშაობას, ეს არის სხვა გვარ შეიარაღების ნაწილებთა ერთად და უმთავრესად კი ფეხოსან ნაწილებთან შეთანხმებული მოქმედების უნარი.

ცხენოსანი ნაწილი არ წარმოადგენს არმიაში რაღაც განსაკუთრებულს, არამედ ის მისი (არმიის) ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელსაც მიზნად აქვს საერთო ამოცანის სისრულეში მოყვანა.

ხშირად ცხენოსნები ასე ფიქრობენ, რომ ფეხოსანი ჯარი იბრძვის, ხოლო ცხენოსანი მისი დამხმარე ნაწილიაო. საბრძოლო პირობები მოითხოვენ, რომ არ იქნეს შეწყვეტ[...] ფეხოსან ჯარსა და ცხენოსან[...] ერთიერთ დახმარება. ის[...] ერთი მეორის დამატებანი ა[...] ან, შეთანხმებული მოქმედებ[...] და ერთი ძალღონით უნდა [...] დასწყვიტონ ბრძოლის ბე[...]

ეს საბრძოლო მოთხოვნი[...] ბანი მოითხოვენ ცხენოსანი [...] წილისაგან დიდ მომზადებ[...]

კავალერისტი უნდა იყოს [...] მოცდილი ცხენოსანი, შეეძ[...] ოს მრავალი დაბრკოლებე[...] გადალახვა, ხმლის მამაცურ[...] მომხმარებელი, იცოდეს კა[...] გად შაშხანა, მიზანში სრო[...] და ამავე დროს შეეძლოს ქ[...] ით მწყობრში მოქმედებაც.

საზაფხულო მუშაობის პერ[...] ოდი ცხენოსნისთვის ერთ[...] ერთი საუკეთესო დროა, პრ[...] ქტიკული სწავლების საწარმ[...] ებლად.

ზამთარში ამ მხრივ უფრ[...] ქმზღუდულია ცხენოსნისათვ[...] მოქმედებისა და სწავლების არ[...]

ზამთრის ტალახები და თ[...] ვლი არ იძლევიან ცხენით მ[...] ცადინეობის წარმოების შეს[...] ძლებლობას. სამაგიეროთ ზ[...] ფხულში არა თუ მანეჟი, არ[...] მედ ველიც შესანიშნავია მეც[...] დინეობისათვის. სწორედ ამ[...] ტომ არის საჭირო, რომ ცხ[...] ნოსანმა ყოველ მხრივ გამო[...] ყენოს ეს საზაფხულო პერიო[...] დი და მიიღოს მეტი გამოცდ[...] ლება.

ზ.

## ᲪᲮᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲒᲘᲒᲘᲔᲜᲐ

ზაფხულში ცხენოსანმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ცხენის მოვლას.

ზაფხულში მოუვლელობით შეიძლება უფრო დაზიანდეს ცხენი, ვინემ საკვების სიმცირით. ცხენის გიგიენას, მის სუფთად შენახვას მუდმივად უნდა ედევნოს ოვალყური.

ცოცხალი არსების საზოგადოთ და კერძოთ კი ცხენის ტყავს აქვს ნასვრეტები, რომლებიც ივსება მტვერით, და ხელს უშლის ოფლის წესიერად გამოყოფას. ასიტომ არის საჭირო, რომ ჩქარ-ჩქარა იბანებოდეს ცხენი წყალში და იწმინდებოდეს მისი ტყავი მტვრისაგან.

აუარება სხვადასხვაგვარი მავნებლები იბუდებენ ცხენის სხეულზე. საჭიროა მათი მოცილება ცხენიდან და კანის მუდმივად გასუფთავება.

კანის ოდნავი გაჭრისა და გ[...] კაწვრის დროს დაუყონებლივ უ[...] და მიემართოს ექიმს სათანად[...] დახმარებისათვის, რომ არ მო[...] დეს ჭრილობის დაჩირქება, რომე[...] ლსაც იწვევს ბუზებისაგან მოტა[...] ნილი ათასგვარი ბაქტერიები.

ცხენს ხშირად ეცრემლება თვა[...] ლები; ეს იმას ნიშნავს, რომ მა[...] მტვერი აქვს ჩაცვენილი თვალე[...] ბში. საჭიროა გაუსუფთავოთ თვა[...] ლები მტვრისაგან, ხოლო უფრო[...] გართულებული შემთხვევის დრო[...] უნდა მივმართოდ ექიმს.

საჭიროა აგრეთვე ყოველთვ[...] ყურადღებით იქნეს დათვალიერე[...] ბული ცხენის ფეხები და განსა[...] კუთრებით კი ფლოქვები.

კარგი მოვლის პირობებში ცხე[...] ნი ყოველთვის ჯანმრთელი დ[...] გამოსადეგარი იქნება სამსახური[...] სა და მუშაობისათვის.

პ. კ—ი.

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲢᲔᲜᲝᲡ ᲨᲐᲨᲮᲐᲜᲐ.

შაშხანაში ვაზნების ჩაწყობა მეტად ადვილი საქმეა. სავაზნე ვაზნებით უნდა მივიტანოთ შაშხანის ნაწარბთან, მოვარგოთ მას სავაზნის ერთი ბოლო, დავაჭიროთ ვაზნებს ცერი ზევიდან და ამნაირად ჩავასრიალოთ ისინი შაშხანის ვაზნკოლოფში. მაგრამ ეს წვრილმანიც მოხერხებულად უნდა იქნეს შესრულებული საბრძოლო პირობეპში. საჭიროა შესაფერი დახელოვნება და ცოდნა.

პირველი პირობაა რაც შეიძლება ჩქარა და ხმის გაუშვებლად მოხდეს შაშხანაში ვაზნების ჩალაგება, არ უნდა დავსვაროთ მიწით ვაზნები და შაშხანის კლიტე. მეორე პირობა კი—მსროლელმა უნდა იზრუნოს შაშხანის დატენის დროს თავის დაფარვაზედაც.

როდესაც მსროლელი აწარმოებს სროლას დაწოლილი გაშლილ ადგილზე, ის ძნელად შესამჩნევი ხდება მოპირდაპირისათვის. შაშხანის დატენის დროს ზოგიერთი მსროლელი წამოდგება იდაყვებზე და წამოსწევს ზევით თავს. ასეთ მდგომარეობის დროს, მსროლელი ადვილი შესამჩნევი ხდება მტრისათვის და შეიძლება ამოღებული იქნეს მიზგან მისანში.

რომ მსროლელი შეუმჩნეველი დარჩეს მტრისათვის შაშხანის დატენის დროს, საჭიროა მარცხენა გვერდზე გადაწოლა, თავის მარცხენა კლავზე დაყრდნობა ან პირდაპირ მიწაზე. ასეთი მდგომარეობის დროს ის თითქმის სრულიად შეუმჩნეველია. მტერი მას ვეღარ ამოიღებს მიზანში,

ზ.

# ᲛᲐᲗᲘ „ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐ“.

კაპიტალის არმიებში.

იმპერიალისტური ომის შემდეგ იაპონია დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდიდა, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა და მტკივნეული შეიქნა 1923 წელში მომხდარ უდიდესი მიწის ძვრით. ამ გარემოებამ აიძულა იაპონიის მთავრობა შეემცირებია ზოგიერთი ხარჯები სხვა და სხვა უწყებებზე და მათ შორის არმიაზეც.

ამნაირად 1925 წლის პირველი მაისიდან დაიწყო არმიის შემცირება რიცხობრივად. ამ წლის განმავლობაში შემცირებული, გაუქმებული იქნა არმიაში 4 ფეხოსანი დივიზია—16 ფეხოსანი ლეგიონი, 4 ცხენოსანი ლეგიონი, 24 მსუბუქი საარტილერიო ბატარეია და 8 მესანგრეთა და მებარგულეთა ბათალიონები.

ამის მაგივრად დარჩენილი ნაწილები გაძლიერებული იქნა მსუბუქი და მძიმე ტყვიამფრქვევების შეიარაღებით. ამათ გარდა შედგენილი იქნა 4 სატანკო ბათალიონი და გაძლიერებული ჰაეროპლანებით საავიაციო ნაწილები.

ამჟამად იაპონიის არმიაში ირიცხება 19.500 მეთაური და 185.860 ჯარისკაცი. არტილერიაში, ცხენოსანთა და საბარგულე ნაწილებში ითვლება 30.000 ცხენი.

**ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ.** ამ უკანასკნელ ხანებში პოლონეთი დიდ ყურადღებას აქცევს „საყოველთაო შეიარაღების იდეის“ ცხოვრებაში გატარებას.

უკანასკნელ ხანებამდე ეს ჯარის გარეშე სამხედრო მომზადება უფრო შემოფარგლული იყო და ტარდებოდა სამაზრო ინსტრუქტორების „სამაზრო კომენდატურების“ საშვალებით.

მიმდინარე წელში კი მთელი სამოსწავლო განმანათლებელი მუშაობა ჯარის გარეშე სამხედრო მომზადების საქმეში გადავიდა სამწყობრო მეთაურთა ხელში. ნაწილებთან შემდგარია ინსტრუქტორების კადრი.

ამ საქმეში პოლონეთი სწორ გზაზე შედგა. მართალია ჯარის გარეშე სამხედრო მომზადების საქმეში არ ჩაბმულა ჯერ მოსახლეობის ფართო ფენები, მაგრამ მან მაინც ძლიერი ფესვები გაიდგა მოსწავლეთა შორის, საშვალო სასწავლებლებში, „შევარდენის“ სასროლო ორგანიზაციებში და ატარებს ტანვარჯიშ-სპორტის ხასიათს.

ჯარის გარეშე სამხედრო მომზადების საქმისადმი ინტერესი ძლიერ გაიზარდა პოლონეთის ახალგაზრდობის შორის, რასაც ის მოყვა შედეგად რომ მოხალისეთა მსროლელ ორგანიზაციების რიცხვი 4-ჯერ უფრო გაიზარდა.

საშვალო სასწავლებლებში ჯარის გარეშე სამხედრო მომზადება სავალდებულო საგნათ არის შეტანილი და ყველა ვალდებულია გაიაროს ის. ასე მაგალითად, ზაფხულობით 1-ლი ივლისიდან თითეულ საკორპუსო ოლქში ჩატარებული იქნება საბანაკო შეკრება 6 კვირით, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობენ საშვალო სასწავლებლების ყველა მოწაფეები. მარტო ერთ პირველ კორპუსში ეწყობა ათასამდე საზაფხულო ბანაკი. პოლონეთის ჯარის გარეშე სამხედრო მომზადების მთავარ ამოცანებს წარმოადგენს: სროლის წესების სწავლება, საბრძოლო სროლის ჩატარება, ხიშტით ბრძოლის სწავლა, საგრენადერო საქმის პრაქტიკულად გავლა, ქიმსაწინააღმდეგო და აეროპლანებისაგან თავდაცვის შესწავლა და ნაწილობრივ ქიმიური თავდასხმის წარმოებისათვის ძირითადი წესების შესწავლა.

ვ. ნ.

# ჩვენს ცვალებადელთა შორის

## კარგად შეეწყვენ ყაზარმას.

6-ხე ლეგ. 4 ასეული.

ასეულში კარგა ხანია რაც ჩამოყალიბდა ყოველგვარი მუშაობა. ცვალებადელების მიღებისთანავე შეუდგა ნაწილი წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვას და ასეულის ჯგუფებათ დაყოფას ცოდნისა და ეროვნების მიხედვით, რომლებთანაც ცალ-ცალკე სწარმოებს კულტურულ პოლიტიკური ხასიათის მუშაობა.

წითელ მოლაშქრეებს შორის საუცხოვო დისციპლინაა. ადგილი არა აქვს გულგრილობას და მეცადინეობისადმი დაკლებას. ყველანი ცდილობენ, რომ რაც შეიძლება მალე შეისწავლონ რამე. ყაზარმულ ცხოვრებას კარგად შეეწყვენ; ერთმანეთს შორის ამხანაგური დამოკიდებულება არსებობს. ასე არიან მეთაურებთან დამოკიდებულებაშიც.

დიდი ყურადღება ექცევა ნაწილში აგრეთვე სკოლის გარეშე მუშაობას. კარგად გვაქვს მოწყობილი ლენკუთხე, სამკითხველო. ლენკუთხის პრეზიდიუმი ხელმძღვანელობს კუთხეში მომუშავე სხვა და სხვა წრეებს, რომლებიც შეძლების დაგვარად აწარმოებენ საუბრებს სხვა და სხვა საჭირო საკითხებზე. ხშირად იმართება წარმოდგენები და გვიჩვენებენ კინო სურათებს.

ეწყობა ექსკურსიები სხვა და სხვა დაწესებულებების დასათვალიერებლად.

ცვალებადელები ძლიერ კმაყოფილი არიან ნაწილში წარმოებული მუშაობით და მთელი ენერგიით ჩაებენ მასში.

ესტ. ველისციხელი.

## გაიხსნა ბიბლიოთეკართა სემინარი

მე-4 ლეგიონი.

14 ივნისიდან ლეგიონში გაიხსნა საბიბლიოთეკო სემინარი. მსმენელებად, ლეგიონის ყველა ნაწილებიდან გამოყოფილი არიან ახალწვეულები, რომლებიც დიდ მონდომებას და ენერგიულობას იჩენენ მუშაობაში.

ახალწვეულებს უმთავრესად ვაწვდით ცოდნას სოფლად მუშაობისათვის. აქ ვამზადებთ სოფლის ბიბლიოთეკართა ახალ კადრს.

მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს. ხელმძღვანელები საკმაოდ გამოცდილი არიან და შესაფერ ცოდნას აწვდიან ამხანაგებს.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ცვალებადელი ამხანაგები შესაფერად გაუძღვებიან სოფელში ქოხ-ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობის საქმეს ამ სემინარის დათავების შემდეგ. ამის საუკეთესო თავდებია ის მონდომება, რომელსაც ისინი იჩენენ.

ა. ხარებაშვილი.

## ჩვენი წითელ არმიელები ჰაერში ტფილისის თავზე

მე 6 ლეგიონის სკოლა

სკოლის კურსანტებს კარგა ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა აეროდრომის საფუძვლიანად დათვალიერება, მაგრამ უდროობის გამო 17 ივნისამდე ვერ მოახერხეს. 17 ივნისს კი როგორც იქნა შეკვისრულდა სურვილი და მთელი სკოლა წაყვანილი იქნა აეროდრომის დასათვალიერებლად. წითელ არმიელების სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როდესაც გზაზე გვითხრეს, რომ შესაძლებელი იყო ავფრენილიყავით ჰაეროპლანით.

მისვლისთანავე შემოგვეგება ადგილობრივი ამხანაგი. დაგვატარა მთელი ანგარები და დაწვრილებით გვესაუბრებოდა ყველა სისტემის ჰაეროპლანებზე და მათ ერთი-ერთმანეთთან უპირატესობის შესახებ. წითელ არმიელებზე მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ამ გარემოებამ.

ამასობაში მოეწყო რამოდენიმე ჰაეროპლანები ასაფრენათ. ამუშავდენ პროპელერები და დაიკავეს თავიანთი ადგილები მფრინავებმა. რიგ-რიგობით ჩასვეს ჩვენი წითელ არმიელები და ჰკრეს კამარა სივრცეში. ყველა ამხანაგები იქნენ გასეირნებული ჰაერში. მათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როდესაც მშვიდობიანად ბრუნდებოდენ ძირს.

ამნაირად აეროდრომის დათვალიერებასთან ერთად ჩვენმა სკოლამ გაიარა ამ დღეს საჰაერო ნათვლაც.

ამავე დღეს დაწვრილებით დავათვალიერეთ აგრეთვე ქალაქის სასაკლაოც.

ომერი.

## გამფლანგველის გასამართლება.

1-ლი არტლეგიონი.

ამ რამოდენიმე დღის წინად 4 საგაუბიცო ბატარეის ლეხინის კუთხეში მოეწყო კოოპერატივის ქონების გამფლანგველის ლიტ-გასამართლება. ბრალდებულს ედებოდა ბრალად 1.530 მან. გაფლანგვა. წითელ არმიელები მრავლად დაესწრენ გასამართლებას და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ კამათში.

ყველამ გამოსთქვა თავისი აზრი და ერთხმად სდებდენ ბრალს კოოპერატივის ქონების გამფლანგველს. სასამართლოს შემადგენლობა ამორჩეული იყო თვით წითელ არმიელებიდან.

საბოლოო განაჩენში ბრალდებული გამტყუნებული იქნა და მიესაჯა სასჯელად 3 წლის საპყრობილე. განაჩენმა ყველა დააკმაყოფილა.

დასასრულ კუთხეში ჩატარებული იქნა საუბარი კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ.

ნიჟარაძე.

# წითელი მებრძოლნი ბანაკში.

## ცხენ. ლეგიონის სკოლის გარეშე მუშაობიდან.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ბანაკში გასვლის შემდეგ შეუდგა ჩვენი კლუბი მუშაობას. ძველებურად მან დაიკავა კავშირი რუსულ მე-6 ლეგიონის კლუბთან. ხშირად იმართება ორთავე ლეგიონის დრამწრეების ძალებით წარმოდგენები, რაც დიდ სიამოვნებას იწვევს საბანაკო მეცადინეობით დატვირთულ მოლაშქრეებში.

განახლებული იქნა სხვადასხვა წრეების მუშაობა. დაჭერილი იქნა კავშირი მახლობელ სოფლებთან. იქაკ ვმართავთ წარმოდგენებს უფასოდ, რაც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს გლეხებზე.

სამხკორთა წრე.

სამხკორთა მუშაობა ლეგიონში საგრძნობლად გამოკეთდა. სამხკორთა წრეები არსებობს როგორც ლეგიონის, ისე ესკადრონების მასშტაბით. დიდი ყურადღება ექცევა ახალი წევრების შეძენას.

საბიბლიოთეკო მუშაობა.

ნაწილის ბიბლიოთეკა—სამკითხველომ დიდი მუშაობა ჩაატარა. მან გაამრავლა მკითხველთა რაოდენობა. 75 პროც. წითელ არმიელებისა აქტიურ მკითხველებად ითვლებიან მისი მეოხებით.

წითელ არმიელებში ბიბლიოთეკა ატარებს კამპანიას გაზ. „წითელ არმიელის“ გამოწერის შესახებ. ყველა სიხარულით იღებს ამისთვის თავის წვლილს.

ლეგიონის ბიბლიოთეკა კარგ ხელმძღვანელობას უწევს ამასთანავე ესკადრონის ბიბლიოთეკებს. თავის დროზე აწვდის საჭირო წიგნებს, დაარსებულია საბიბლიოთეკო სემინარი. კარგად არის მოწყობილი ნაწილის ლენკუთხეებიც.

პ. ნადარეიშვილი.

## ლენინაკანის ღამე.

ღიმილი მთვარის
იდუმალ მხრიდან
საამო არის;
კარვებს რომ ათოვს
საათის ცხრიდან.
აკალთულ სერზე
ფართეა რგოლი,
უკრავს მუსიკა
წრეს უვლის ცერზე
მხედართ წრიდან
გამონაქროლი.
გუგუნებს ტაში
„ვაშას“ ძახილში,
მხედართა ცვლაში
წამებს სცვლის წამი
მთვარის სიცილში...
და გვიხარია
წითელ მძივებში
„ლენინაკანი“,
სულ სხვა მხარეა,
სხვაფრივ ბანაობს
მთვარის სხივებში...
კიდეც ამაყობს
მის ხუჭუჭ კალთებს
„ვაშას“ ძახილი
ასე რომ ამკობს.
...დაჰქრიან წრეში,
როგორც ვეფხები
წითელ მხედრები
და კუს ფეხებით
მიჩოჩავს ღამე.
მთვარის ღიმილში
„ვაშას“ ძახილი
„ლენინაკანის“
დიდი სიამე.

დ. ხაზალია.

## პრაქტიკულ მეცადინეობაზე ხშირად გავდივართ.

მე-2 ლეგ. 9 ასეული.

ასეულმა კარგა ხანია დაიწყო სამხედრო საქმის პრაქტიკულად გავლა. წითელ არმიელები ენერგიულად ასრულებენ ყველა დავალებებს მანევრებზე გასვლის დროს. სისტემატიურად, ყოველ დღე ვაწარმოებთ საბრძოლო მოქმედებას, როგორც დღით, ისე ღამით. ვსწავლობთ თუ როგორ უნდა დავიკავოთ საჭიროების დროს მტრის მიერ გამაგრებული უბანი.

მეთაურები ჩვენთან არიან ყოველთვის და გვასწავლიან საჭირო მოქმედებისათვის მოძრაობის წესებს.

კარგად არის ასეულში დაყენებული აგრეთვე პოლიტიკური და კულტურული ხასიათის მეცადინეობა. უმთავრესი ყურადღება ექცევა ამ დარგში, იმას თუ მოწინააღმდეგის დასახლებული უბნების დაკავების დროს, როგორ უნდა მოვიქცეთ, რა ვაკეთოთ მოსახლეობაში, როგორ მივუდგეთ მათი გულის მოგების და მასთან დაახლოების საქმეს.

ამის შესახებ მრავალი საუბრები ტარდება წითელ არმიელებში.

საერთოდ საბანაკო ცხოვრების პირობები ფართეთ იქნება ნაწილის მიერ გამოყენებული, თუ ამის შესაძლებლობა გვექნება.

ბარულაშვილი.

## სხვას არც ჩვენ ჩამოვრჩებით.

1-ლი ლეგ. 1-ლი ათასეული.

ჩვენს ათასეულს ხშირად უწევს ყარაულში და განწესებაში სიარული, რაც ერთი შეხედვით ძლიერ უნდა გვაცილებდეს ტაქტიკური ხასიათის სამხედრო მეცადინეობას, მაგრამ ათასეულის მიერ ყოველგვარი ზომებია მიღებული რომ არ ჩამოვრჩეთ აქ ჩვენს თანაბარ ნაწილებს უკან. სამაგიეროდ დიდი ენერგიით ეკიდება ნაწილი წესდებების განმეორებითი კითხვას და კარგადაც არის ათასეული ამაში მომზადებული.

საერთოდ სამხედრო საქმეს დიდი ყურადღებით ვეკიდებით. ხარბად ეტანებიან წითელ არმიელები აგრეთვე ჟურნალ გაზეთების კითხვას, რადგან საამისო დრო ბლომად მოგვეპოება.

მუშაობენ სხვა და სხვა წრეები, რომლებსაც უმთავრესად ხელმძღვანელობენ ჩვენი მეთაურები. ათასეულს შესამჩნევად დაეტყო თვით-განვითარება.

საუცხოვოდ არის დაყენებული აგრეთვე სამხედრო დისციპლინა. ამ მხრივ ჩვენი წითელ არმიელები კარგად არიან გაწვრთნილი.

ი. ცინცაძე.

## ცვალებადელები პრაქტიკულ სროლაზე.

მეორე არტლეგიონი.

მეორე შეერთებულ დივიზიონის ცვალებადელები უკვე გადავიდნენ პრაქტიკული ხასიათის სწავლებასა და გაწვრთნაზე.

15 ივნისს ჩვენი დივიზიონი გაემართა მთებში ოთხი სამთო ქვემეხებით—სროლაზე.

გზა და გზა მეთაურები უხსნიდენ წითელარმიელებს ყოველგვარი მოქმედების მნიშვნელობას: რა არის საჭირო პოზიციაზე და როგორ უნდა დავიცვათ თავი მტრისაგან და სხვა.

12 საათი იქნებოდა, როდესაც მივედით დანიშნულ ადგილას და შეუდექით საბრძოლო მომარაგებას.

სამ ქვემეხზე მუშაობდენ ადგილობრივი სკოლის კურსანტები, ხოლო ერთზე კი ცვალებადელი წითელარმიელები.

ცვალებად წითელარმიელებმა კარგათ შეისწავლეს ქვემეხებზე და ელსმენებზე მეცადინეობა და მათი დანიშნულება, მაგრამ პრაქტიკულ მეცადინეობასთან მათ არ ჰქონიათ ჯერ საქმე და ეხლა ყველა ინტერესით ადევნებდა თვალს მოქმედებას და არც ერთ უმნიშვნელო რამეს მხედველობიდან არ უშვებდენ.

აგერ, მოეწყო ბატარეია. გაკეთდა პარალელური მარაო.

ამუშავდენ მეელსმენეები და მოაწყვეს ბატარეიასთან სადგური სათანადო სანგრით.

ამორჩეულ იქნა შესაფერი ადგილი თვალმდევნ პუნქტისათვის, სადაც ბატარეის სადგურმა გააბა ცალხაზიანი კავშირი.

თვალმდევნზე ამუშავდენ: ყიბლანი ცეისის მილი და ცეცხლის, მწარმოებელი სათანადო რუკით ხელში.

ბატარეია ყოველმხრივ მზათ არის. ქვემეხები ძირითად დაყენებაზეა და მომიზნენი მოუთმენლად ელიან სათანადო განკარგულებას.

ცვალებად წითელარმიელები, რომლებიც ახლოს იყვენ, მოუთმენლად მოელიან ცეცხლს, ქვემეხების ამუშავებას და მათ ქექა-ქუხილს.

ლეგიონის უფროსი თავს დასტრიალებს ბატარეიას და სათანადო ახსნა-განმარტებას აძლევს ყველა წითელარმიელებს.

ასეთი ამხანაგური სწავლება წითელარმიელებს შორის დიდ აღფრთოვანებას იწვევს.

უცებ გაისმა ძახილი: ქვემეხობრივ მარჯვნიდან—ცეცხლი.

ბატარეია მოეფარეთ!

პირველი!..

და ქვემეხმა იჭექა.

ყველანი მიზნისკენ იცქირებოდენ.

აგერ დაეცა ყუმბარა და კორიანტელი აადინა.

ასე გაგრძელდა ცეცხლი საღამოს 5 საათამდე.

მეცადინეობამ ისე გაიტაცა წითელარმიელები, რომ აღარავინ ფიქრობდა სადილისათვის.

ცვალებადელი წითელარმიელები დიდათ კმაყოფილი დარჩენ ასეთი პრაქტიკული მეცადინეობით.

ველში ხშირად გასვლა კიდევ უფრო შეაყვარებს ამხანაგებს სამხედრო საქმეს და მეტ დახელოვნებას მიიღებენ, რომ ნაყოფიერად გამოიყენონ ის საჭიროების დროს.

ულენტი.

## ჩვენთანაც გაძლიერდა მუშაობა.

ქუთ. სამხედრო გოსპიტალი.

გოსპიტალში სანიტრებათ ვიმყოფებით სამი ეროვნების წითელარმიელები. გოსპიტლის ლენინის კუთხეში კი მარტო რუსული ლიტერატურა და პლაკატები იყო ამ უკანასკნელ ხანებამდე. ამჟამად მოგვაქციეს სათანადო ყურადღება და კუთხეს თანდათან ვავსებთ სხვა და სხვა ლიტერატურით. წითელარმიელები ძლიერ გახარებული არიან ამ გარემოებით.

სამხკომი და პოლიტხელი ხშირად მოდიან ლენკუთხეში, გვეხმარებიან მისი მოწყობისათვის მუშაობაში და ატარებენ საუბრებსაც.

წერა-კითხვის უცოდინარი სანიტრები კი მიმაგრებული იქნენ მე-5 ლეგიონის სალიკვიდაციო სკოლაზე და სისტემატიურად დაიარებიან მეცადინეობაზე. მალე აღარ გვეყოლება არცერთი წერა-კითხვის უცოდინარი და პოლიტიკურად გაუგნებელი სანიტარი.

დაწყებული საგანმანათლებლო მუშაობა მალე მოუღებს ბოლოს ამ უცოდინარობას ჩვენთან.

რამიშვილი.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

## ცუდი სუნი გვაწუხებს.

მე-6 ლეგიონის, მე-3 ათასეულის სამზარეულოში ცუდი სუნი სდგას. საქმე იმაშია, რომ თვითონ სამზარეულოს ერთ-ერთ კუთხეში მოთავსებულია სანაგვე კასრა, რომელიც ყოველდღიურად ივსება ნაგვით. მაგრამ მის გადაყრას კი არავინ ცდილობს. ამიტომ ეს ნაგვიანი კასრა მთელი თვეობით დგას სამზარეულოში და საშინლად ყარს. გარდა ამისა თვითონ სამზარეულოში სადილობის დროს არ არის დაცული სიმშვიდე. საჭიროა ამ მოვლენების აღმოფხვრა და ალბათ ამ გარემოების გამოსწორებას შეუდგება ვისაც ჯერ არს.

მ. თვალყური.

### ეს არ არის დასაშვები.

სამხედრო საავადმყოფოს წითელ არმიელთა სასადილოში ძლიერ ბლომად არიგებენ პურს საუზმის, სადილის და ვახშმის დროს. ამის გამო ბლომად რჩება პურის ნარჩენები, რომელსაც შემდეგ თავს უყრიან და ღორებს აძლევენ საჭმელად. კარგი იქნებოდა, რომ პურის გაცემა ისე სწარმოებდეს, რომ იგი საყოფი იყოს წითელ არმიელისათვის და არა თავზე საყრელი. პურის გაცემა არ უნდა სწარმოებდეს ისეთი წესით, როგორც ეს აქამდი იცემოდა. საჭიროა ამ დარგშიც ეკონომია დავიცვათ.

ნ. გორდეზიანი.

### ბიბლიოთეკარმა უნდა გაიღვიძოს.

სამხედრო საავადმყოფოს მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა—სამკითხველო აქვს. მაგრამ მას შემდეგ რაც ძველი ბიბლიოთეკარი წავიდა ჯამაგირის შემცირების გამო და ახალი ბიბლიოთეკარმა ხელი მოკიდა საავადმყოფოს ბიბლიოთეკის მუშაობის ხელმძღვანელობას, მას შემდეგ ჩვენ ბიბლიოთეკაში დიდი უწესოება დამყარდა. მაგალითად: 1. აკრძალულია ბიბლიოთეკაში თამბაქოს მოწევა, მაგრამ ყველა თავისუფლად სწევს, 2. აკრძალულია გადამდებიანი ავადმყოფების შესვლა სამკითხველოში, მაგრამ ყველა დადის თავისუფლად და სხვა. ეს ყველაფერი აიხსნება იმით, რომ ბიბლიოთეკის გამგე სათანადო ყურადღებით არ ეპყრობა თავის საქმის ასრულებას.

საჭიროა ბიბლიოთეკარმა მეტი სიფხიზლე გამოიჩინოს.

### მზარეული გამოცვლილი უნდა იქნეს.

მე-2 არტლეგიონის მე 2 დივიზიონი.

მზარეული ავაზაშვილი თავის მოვალეობას პირნათლად არ ასრულებს. სწვავს ზედმეტ შეშას და ნახშირს სახლში ეზიდება.

აგრეთვე ხორცის საუკეთესო ნაჭრებს ინახავს თავისთვის. იყო შემთხვევა როდესაც მიუსწრეს იმ დროს, როდესაც ხორცის ნაჭრებს ინახავდა უბეში და შემდეგ მიჰქონდა სახლში. მზარეული ხშირად ამზადებს სადილს შინელით და უსუფთაო ტანსაცმელით ასეთი გარემოებამ დიდხანს არ უნდა გასტანოს. სასურველი იქნებოდა მისი გამოცვლა, თორემ მისი საქციელი აუტანელია.

გ. შ.

# ახალი სამხედრო ტეხნიკაში

### საჰაერო ნაღმი.

იტალიის არმიის ლეიტენანტფოლშიმ გამოიგონა მეტად საინტერესო აპარატი, რომლის საშუალებით შესაძლებელი ხდება საჰაერო თავდასხმების მოგერიება. ფოლშის აპარატი, რომელსაც უწოდა მან საჰაერო ნაღმი ჰაერში გაშვების დროს ფეთქდება მეტად ძლიერი ძალით. ნაღმს მიაბამენ რაიმე მსუბუქი გაზით დატენილ შუშაზე, რომელიც აჩერებს მას ჰაერში და ამნაირად იქ აფეთქებით ანადგურებს მოწინააღმდეგის საჰაერო ძალებს.

თვითონ ჭურვი ისეა მოწყობილი, რომ ის ფეთქდება ჰაეროპლანის ან დირიჟაბლის დატაკების თანავე ჰაერში. სიბნელეში ნაღმი სრულიად შეუმჩნეველია მოწინააღმდეგისათვის.

ასეთი აპარატების შემოღება მომავალ ომებში მეტად გააძნელებს ჰაეროპლანების მუშაობასა და მოქმედებას.

### ახალი ტანკები.

პოლონეთის არმიაში განზრახულია ახალი მსწრაფლ მავალი ტანკების შემოღება. ტანკებს ამზადებენ ქ. ლვოვში (გალიცია) ისინი შეიარაღებული იქნებიან 7,5 სანტიმეტრიანი ყალიბის ზარბაზნებით და ექვსი მძიმე ტყვიამფრქვევებით. ამას გარდა გამოცდილი იქნენ პროფ. ჩერვინსკის სისტემის პატარა ტანკები.

### ახალი ტიპის გაუბიცა.

ჩრდილოეთ ამერიკის და ინგლისის არმიებში შემოღებული იქნა ახალი ტიპის 155 მილიმეტრიანი ყალიბის გაუბიცა (ზარბაზანი).

ახალი ტიპის გაუბიცა მ ტად გაუმჯობესებულია ასეთივე ყალიბის ძველად ხმარებულ გაუბიცებთან შედარებით იმ მხრივ, რომ მისი შორს მსროლელობა გაიზარდა რამოდენიმე კილომეტრით. ხსენებული არმიები უხვად იარაღდებიან ასეთი ტიპის ზარბაზნებით.

# ნარევი

### მოგზაურობა კასრში.

ორმა გერმანელმა სპორტსმენმა ფელდგრენებმა გამოიგონეს მოგზაურობისათვის ვებერთელა ლითონის კასრა, რომლის დიამეტრი უდრის 1,7 მეტრს. ამ კასრით შესაძლებელია მოგზაურობა ხმელეთზე და შიგ ცხოვრება.

კასრი გაყოფილია ორ ნაწილად. ზედა სართულში შესაძლოა ძილი, ხოლო ქვედა სართულში კი არის მოწყობილი სამზარეულო. მოძრაობის დროს ფელდგრენები თავის ბარგს ამ კასრაში მჭიდროთ აწყობდენ და შემდეგ კი ქუჩაზე მიაგორებდენ.

ამ კასრით სპორტსმენებმა მთელი გერმანეთი შემოიარეს. მაგრამ თვითონ ბერლინში ჩამოსვლისას მათ ასეთი ამბავი შეემთხვათ: პოლიციამ დაიჭირა ეს კასრი, როგორც უნომრო ეტლი და მოსთხოვა სპორტსმენებს ამ კასრისთვის ნომრის ყიდვა. სპორტსმენებმა მოინდომეს თავის გამართლება და პოლიციელებს უმტკიცებდენ, რომ ამ კასრის გამოგონება „შედეგია „ბინის კრიზისის“ მიზეზისაო. მაგრამ ამ მტკიცებამ ვერ გასჭრა.

ბოლოს ფელდგრენები იძულებული გახდენ, რომ კასრისთვის ნომერიც ეყიდათ და თან ჯარიმაც გადაეხადათ იმის გამო, რომ ამდენ ხანს მათი კასრი უნომროთ იყო.

### კიბოთი დაავადმყოფების მიზეზები.

როგორც ცნობილია კიბოს ავადმყოფობა მეტათ გავრცელებული მოვლენაა და ამავ დროს ეს ავათმყოფობა განუკურნავ სენების რიცხვს ეკუთვნის.

დანიის ექიმი გინდგენი ფიქრობს, რომ კიბოს ავათმყოფობის წარმომშვები მიზეზი არის ყოველდღიურად ბლომათ ხორცის ჭამა.

ეს აზრი კიდევ უფრო იმით მტკიცდება, რომ კიბოთი ავათ არ არიან ის მუშები, რომლებიც რძის ფერმაში მუშაობენ და საჭმელათ რძის ნაწარმოებს ხმარობენ.

ბლომათ ხორცის ჭამის გარდა, კიბოს იწვევს აგრეთვე ზედმეტათ მარილიანი საჭმელის მიღება, ჭამის წინ თამბაქოს წევა და ალკოჰოლი.

## პასუხი შეკითხვებზე

**დ. ვ—ლს.** თქვენ უნდა წარმოადგინოთ მოწმობები იმის შესახებ, რომ თქვენს რჩენაზე იმყოფება დედა 65 წ., ცოლი და ხუთი თვის ბავშვი და სხვა შრომის უნარიანი არ იმყოფება თქვენს ოჯახში და მაშინ იქნებით გადარიცხული ტერნაწილში (ბრძანება № 965-25 წ.

**წახნაკიძეს.** მიმართედ ლეგიონის შტაბის უფროსს ახსნა-განმარტებისთვის.

**მაყვალას.** მეშვიდე ხარისხით.

**ბ—ლს.** ასეულის ბიბგამგეს არ ეკუთვნის სამკუთხედი.

**ძუკუს.** არა.

**ფოლადიანს.** შეუძლია მხოლოდ უფროსის ნებართვით.

**ქემირიძეს.** მიღება იწყება სეკტემბრიდან. ჩვენ არ ვიცით რომელი სკოლაში გინდათ შესვლა და ისე კი პასუხს ვერ მოგცემთ თქვენი ცოდნით სად შეგიძლიათ შესვლა.

**ა. გაგუას.** ორი წელია სამსახურის ვადა.

**ბარკალაიას.** თუ ჩააბარეთ გამოცდები, წახვალთ.

**მარტოხელას.** არ განთავ სუფლებთ ოჯახური მდგომარეობა. უნდა იმსახუროთ ორი წელი. (ბრძ. № 965-25 წ.)

**გოგიას.** თქვენ შეგიძლიათ შესვლა უფროსის ნებართვით.

**ეთერს.** თუ მოხალისეთ იმსახურეთ ორი წელი, მაშინ არ გეკუთვნოდათ.

**ი. აბიანიძეს.** თქვენი შეკითხვა ჩვენ არ მიგვიღია.

**ბლიაძეს.** ამა წლის შემოდგომაზე.

**დევაძეს.** ადგილი არ გენახებათ. თუ თავისუფალი იქნა მოგეცემათ.

**ნიკოლაიშვილს.** ექვსი თვის შემდეგ საკუთრებათ არ გადადის.

# პასუხი სამხკორებს

შუქს. (2 მესანგრე) თქვენი წერილი ასეულის საქმიანობის შესახებ გამოუსადეგარია. მოიწერეთ სხვაზე.

ლოლომაძეს. (1-ლი არტლეგ.) რუხს. (მეთ. სკოლა), გოგიტიშვილს (3 ლეგ.), ვ. გორგაძეს. (1-ლი არტლეგ.), ნატროშვილს და ხარებაშვილს. (4 ლეგ.) პატაშურს. (2 ლეგ.) ჯანილიძეს (1-ლი ლეგ.) ტივერს, ლოლომაძეს (1-ლი არტლეგ.) ლობილაძეს (6 ლეგ.) ვ. გაგუას (3 ლეგ.) თქვენი კორესპონდენციები „არტლეგიონი„, „მეთაურთა სკოლა“, „1-ლი ქვეითა დივ. შეერთ. ბატარეია“, „პირველი არტლეგიონი“, „4-ხე ლეგიონი“, „მეოთხე ლეგიონი“, „9 ასეულის ცხოვრება“, „შეერთებ. ბატ. ლენკუთხე“, „1-ლი ბატარეია ბანაკად“, „როგორ მოვეწყვეთ“, „წარმოდგენა ჩვენთან“, და „მოგვეცით წყალი“ არ მიდის. ასეთებზე დაიწერა ჩვენს გაზეთში. ხელმეორედ არ დაიბეჭდება.

კოწ. მელქაძეს—თქვენი წერილი ბანაკზე და ლექსი არ გამოდგა. მოიწერეთ ბანაკში წარმოებული საქმიანობისა და სხვათა შესახებ.

მეძველიას. (6 ლეგ.) წერილი დრამ წრის შესახებ არ არის საკმაოდ დასაბუთებული. არ დაიბეჭდება.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

შემოტანილი აქვთ განცხადება და ანკეტები კომპარტიაში კანდიდატებათ მიღებაზე შემდეგ ამხანაგებს:

კომკავშირის წევრებს: 1. ბერუაშვილი ევგენი (სოფელ ფცა გორის მაზრა), 2. მულაძე აბელი (სოფ. ტიტვი-წყარო, გორის მაზრა), 3. ლომიძე იასონ (სოფ. ქვემო ტკოცა გორის მაზრა).

უპარტიოებს: 4. ბერიანიძე ალექსანდრე (ცხინვალის მაზრა), 5. თოდუა ბეგლარი (ზუგდიდის მაზრა სოფ. ხორგისა), 6. ცისკარიშვილი დავითი, 7. წოქოშვილი, 8. დათოიძე (ზემო ალვანის თემიდან).

ყველა ზემოთ აღნიშნული ამხანაგები არიან უმცროსი მეთაურები და წითელ არმიელები.

გთხოვთ ყველა მოქალაქეებს თუ ვინმეს რაიმე მოეპოვება მათ შესახებ უარყოფითი ცნობები, მოგვაწოდოთ ერთი კვირის განმავლობაში მე-2 ქართულ მსროლელ ლეგიონის მე-1 კომუჯრედში.

კომუჯრედის მდივანი შ. კაკაბაძე.

# სამხკორის კუთხე

## მუშსოფლკორების საკავშირო თათბირის დადგენილებიდან სამხკორთა მუშაობის შესახებ.

ამას წინად მოსკოვში დასრულდა მუშსოფლკორების საკავშირო თათბირი, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილა სამხკორთა მუშაობის საკითხები და დაუსახა ამ მუშაობას ზოგიერთი საყურადღებო ამოცანები.

თათბირმა ერთხმად აღნიშნა, რომ მიუხედავად ზოგიერთი პირობებისა, რომლებიც ზღუდავენ არმიაში—როგორც სამხედრო ორგანიზაცია, სამხკორს, სამხკორთა ზრდა შესამჩნევია. არმიაში მიღებული ორგანიზაციის ფორმები საშუალებას აძლევენ სამხკორებს გამოიჩინონ მუშაობაში სათანადო აქტიობა.

ამჟამად არმიის რიგებში იმყოფება 40.000 სამხკორი და იცემა 5.000-მდე კედლის გაზეთები. სამხკორთა მუშაობას წელს უფრო დიდი ყურადღება ექცევა პარტიულ ორგანიზაციებისა და სამხედრო მოსამსახურეების საზოგადოებრივი აზრისგან, ვინემ წარსულში. მიუხედავად ამისა თათბირმა მაინც აღნიშნა ზოგიერთი ნაკლულოვანებანი სამხკორთა მუშაობაში.

პირველად ყოვლისა—ზოგიერთ პარტორგანიზაციების მიერ სამხკორთა წრეებისადმი შეუფერებელი—ცუდი ხელმძღვანელობა, რომელიც ხანდისხან გამოიხატებოდა წრეებისადმი არა სწორი მითითებების მიცემაში და დაწვრილმანებულ აპეკუნობაში (მასალების ცენზურა, კედლის გაზეთების გამოშვების დროს დანიშვნა(... მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე რიგის წითელ არმიელების მიზანში ამოღება და დაცინვა.

აქ საჭიროა ფრთხილი და დაკვირვებული მიდგომა საქმისადმი—რომელიც მართლაც ხელს შეუწყობს წითელ არმიის საბრძოლო უნარიანობის განმტკიცებას.

თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიდაც სამხკორთა მუშაობის უფრო გაძლიერებისა და განმტკიცების მიზნით წამოყენებულია ცხოვრებაში გასატარებლად შემდეგი ამოცანები:

1. უნდა გაძლიერდეს პარტიულ ქვე ორგანიზაციების ხელმძღვანელობა სამხკორთა მოძრაობაზე.

2. მიზიდული უნდა იქნეს სამხკორთა მუშაობაში უპარტიო წითელ არმიელთა ფართო მასა.

3. უნდა გაიზარდოს აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობის ხარისხი წრეებში.

4. უნდა გაძლიერდეს კედლის გაზეთის რედკოლეგიისათვის სამხკორთა აქტივის აღზრდის საქმე.

5. გლეხკორები და მუშკორები უფრო ძლიერად უნდა იქნენ მოსახლეობის შორის სამხედრო პროპაგანდის გაწევისათვის.

6. ნაციონალურ ნაწილების სამხკორებთან კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს მუშაობა.

7. სამხკორებსა და მუშსოფლკორებს შორის უნდა გაძლიერდეს კავშირი.

ეს ამოცანები ქართული დივიზიების სამხკორებმა და ზევით აღნიშნულ ორგანიზაციებმა აუცილებლად უნდა გაატარონ ცხოვრებაში ისე, როგორც გაატარებს ამას წითელი არმიის სხვა ნაწილები.

ს.


## რა ღირს 1-ლ ივნისიდან „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 35 კაპ.
3 თვით — 90 კ.
6 თვით — 1 მ. 70 კ.
12 თვით — 3 მ. 20 კ.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 30 კაპ.
3 თვით — 80 კ.
6 თვით — 1 მ. 50 კაპ.
12 თვით — 3 მ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქუცხოველის ქ. № 3. პასუხის მგებელი-რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.